საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 003928/09

17/06/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ პაატა მანჯგალაძეს

ბატონო პაატა,

თქვენს 2022 წლის 8 ივნისის N5165/3-62/22 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფოს“ მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, პარტიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ განხორციელებული შემოწირულებები.

გიგზავნით ინფორმაციას პარტიის შემომწირველი პირების, შემოწირულებების სახისა და ოდენობის შესახებ (იხ. დანართი 1), რომელიც საჯაროა და გამოქვეყნებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის ვებგვერდზე www.monitoring.sao.ge.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ პარტიის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის პროცესში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოავლინა პარტიის სასარგებლოდ განხორციელებული არაფულადი შემოწირულებები (ოფისების რემონტისა და ბრენდირების ხარჯების დაფინანსება სხვა პირების მიერ, საოფისე ფართის განკარგვა საიჯარო ვალდებულებების გარეშე), რაც პარტიამ არ დაადეკლარირა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დადგენილი წესით. აღნიშნულ ფაქტზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე წარიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში. პარტია ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლის პირველი და მეოთხე ქვეპუნქტებით და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა შემოწირულების, ჯამში, 72 494 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა და – ჯარიმა შემოწირულების ორმაგი ოდენობით – 144 988 ლარი.

ჩვენ მიერ გამოვლენილ არაფულად შემოწირულებებთან დაკავშირებით, გიგზავნით ინფორმაციას შემომწირველი პირების, შემოწირულებების სახისა და ოდენობების შესახებ (იხ. დანართი 2).

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164
თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ: (+99532)2438438 ფაქსი: (+99532)2438136
ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის ქ.N7 , იუსტიციის სახლი ტელ: (+99532)2438197 ფაქსი: (+99532)2438195

რაც შეეხება ტელევიზია „ალტ-ინფოს“ დაფინანსების საკითხს, გაცნობებთ, რომ აღნიშნული სცდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომპეტენციას. შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ ტელევიზიის დაფინანსების შესახებ თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

დანართი: ექსელის 2 ფაილი.

პატივისცემით,

ბესიკ ქოჩიაშვილი
პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის
დეპარტამენტის უფროსი